საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 14

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების 71-ე მუხლისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1.1. წესდების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:
,, თავისი მიზნების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს უფლება აქვს შექმნას კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები/კურსები, ასევე, ეწეოდეს საგამომცემლო საქმიანობას".

1.2.წესდების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: სსიპ ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი". სრული სახელწოდების გარდა, სამართლებრივ და სხვა სახის ურთიერთობებში ასევე გამოიყენება შემოკლებული სახელწოდება: ,,ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი". უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: გრიშაშვილის 5, 6000, ბათუმი, საქართველო".

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგებილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია